



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

თბილისი
2023

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	18
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	25
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	30
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	39

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211359448
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი კოსტას მანტზალოსი, ფრედერიკის უნივერსიტეტი, კვიპროსი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა წერეთელი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (ასოცირებული პროფესორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ელენე ასათიანი, შპს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ჯავახიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ვიზუალური კომუნიკაცია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Visual Communication
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ვიზუალური კომუნიკაციის ბაკალავრი Bachelor of Visual Communication
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება Audio-Visual Techniques and Media Production
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 2018 წლის 4 დეკემბერი გადაწყვეტილება N181
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	შემოქმედებითი ტური (პორტფოლიოს განხილვა)

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მითითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა მიღებულია უკვე არსებული და აკრედიტებული პროგრამისგან, სახელწოდებით - ვიზუალური ხელოვნების და დიზაინის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ხორციელდება ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლაში (VA[A]DS).

ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა არის 4-წლიანი პროგრამა 240 ECTS-ით და კარგად არის აგებული თანმიმდევრული განვითარების მქონე კურსებით, რომლებიც მოიცავს როგორც თეორიას, ასევე პრაქტიკას. პროგრამა იყენებს სწავლების განახლებულ მეთოდოლოგიებს, რომლებიც ასევე იძლევა ექსპერიმენტული სწავლის საშუალებას ინდუსტრიიდან გამომდინარე კურსებით (ცოცხალი პროექტები), რომლებიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა მონაცემთა ვიზუალიზაცია, წიგნის დიზაინი, ვებ დიზაინი, მობილური აპლიკაციის დიზაინი, მობილური თამაშების დიზაინი, ბრენდინგი, ილუსტრაცია, შეფუთვა და ა.შ.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ვიზიტის პირველი დღე, 20 ივლისი, დაიწყო შეხვედრით რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, და შემდეგ გაგრძელდა თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ ჯგუფთან შეხვედრით, ასევე გასაუბრებები შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კუსრდამთავრებულებთან. ამის შემდეგ, დავათვალიერეთ დაწესებულება, მათ შორის ბიბლიოთეკა, საგამოცდო ცენტრი, IT სერვისები, საკლასო ოთახები და სტუდიები, ასევე საგამოფენო ცენტრი. დღის ბოლო 2 სესიის განმავლობაში გაიმართა დასკვნითი შეხვედრები დამსაქმებლებთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ყველა წევრი, მართვის უმაღლესი რგოლიდან დაწყებული მოწვეულ პერსონალამდე, მხარს უჭერს ახალ პროგრამას. უნივერსიტეტი მხარს უჭერს ფაკულტეტს ხელოვნებისა და დიზაინის სხვადასხვა პრაქტიკაში. ექსპერტთა გუნდს შეხვდა ენთუზიასტი და მხარდამჭერი სტუდენტები/კუსრდამთავრებულები და ასევე, დადებითად განწყობილი დაინტერესებული პირები და ზოგადად, ცხადი იყო, რომ უნივერსიტეტი არის სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, რომელიც ხელს უწყობს თანასწორობას,

⁴პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

მრავალფეროვნებას და ინკლუზიურობას. ასევე, ხელს უწყობს ახალგაზრდა პროფესიონალების გამოშვებას, რომლებიც ჩამოყალიბებული მოაზროვნეები და კომპეტენტური მუშაკები არიან.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფა გამართულად მუშაობს და უზრუნველყოფს საფუძვლიან სისტემას ხარისხის შენარჩუნების მიზნით.

ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა ყველა სტანდარტს შეესაბამება. კერძოდ:

სტანდარტი 1: სრულ შესაბამისობაშია

სტანდარტი 2: სრულ შესაბამისობაშია

სტანდარტი 3: სრულ შესაბამისობაშია

სტანდარტი 4: სრულ შესაბამისობაშია

სტანდარტი 5: სრულ შესაბამისობაშია

▪ რეკომენდაციები

რეკომენდებულია:

N/A

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

რჩევა:

1. სასურველია, პირველი კურსის ზოგიერთი ლიბერალური მეცნიერებების კურსი მეტად მორგებული იყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებაზე.
2. გაფართოვდეს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, რათა დაკმაყოფილდეს სტუდენტთა სურვილი, მიიღონ მეტი გლობალური გამოცდილება.
3. უსდ-მ უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის სერვისები, სტუდენტების კეთილდღეობისა და აკადემიური წარმატებისთვის.
4. უსდ-მ გაითვალისწინოს ევროკავშირის რეგულაციებში არსებული საავტორო უფლებების დაცვის პრინციპები და მოერიდოს წიგნების ან ნებისმიერი საინფორმაციო რესურსის არაავტორიზებულ სკანირებას.
5. საბიბლიოთეკო სერვისების მიერ გარანტირებულად უზრუნველყოფილი იყოს წვდომა იმ აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც შეესაბამება ამ ფაკულტეტს/პროგრამას.

6. საბიბლიოთეკო სერვისების მიერ შემუშავდეს რამდენიმე ტრენინგ-მოდული ინფორმაციის მოძიებაზე, საინფორმაციო წიგნიერებაზე; ასევე აკადემიურ წყაროებსა თუ სხვა მასალებზე მუშაობაზე და ფართოდ გაეწიოს ამას პოპულარიზაცია სტუდენტებს შორის, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს მათი უნარები საინფორმაციო წიგნიერების კუთხით.
7. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის წლიურ ბიუჯეტში საბიბლიოთეკო ხარჯების გაზრდა, რაც შესაძლებელს გახდის საინფორმაციო რესურსების განახლებას.
8. აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინფორმაცია (წერილობითი უკუკავშირით) მათი შეფასების შედეგების შესახებ (დადებითი და უარყოფითი შეფასების შემთხვევაშიც) და ამ პროცესს ოფიციალური ფორმა მიეცეს.
9. კოლეგიალური შეფასების მიზნით, აღნიშნული პროგრამა გაეგზავნოს დარგის ექსპერტებს, დაწესებულების გარეთ.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ბიუჯეტის შესახებ რეკომენდაციას უკავშირდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს გახლავთ სასწავლო პროგრამის და არა ინსტიტუციონალური შეფასება, ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა რეკომენდაცია რჩევით შეეცვალა.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზიტამდე ჩვენთვის მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშზე და ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებზე დაყრდნობით (შეხვედრები რექტორთან, ადმინისტრაციის უფროსთან და დეკანთან, თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან სტუდენტები, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან) გამოვლინდა, რომ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს დისციპლინის სპეციფიკას, ასევე უნივერსიტეტის ხედვისა და მისიის ზოგად მიზანს და ამოცანებს, რომლებიც გულისხმობს ისეთი კურსდამთავრებულების გამოშვებას, რომლებიც შემოქმედებით ინდუსტრიაში მაღალ პროფესიონალებად იქცევიან, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდა სხვადასხვა აღიარებული საერთაშორისო ინსტიტუტის პრაქტიკის გათვალისწინებით, რომლებიც ახორციელებენ პროგრამებს მსგავს დარგებში; მიზნები 3 ძირითად ღერძზე ტრიალებს:

- საგანმანათლებლო საქმიანობა
- კვლევითი საქმიანობა
- ინტერნაციონალიზაცია

პროგრამის მიზნები ორიენტირებულია სტუდენტებში საბაზისო კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რაც მოიცავს პირველად და მეორად წყაროებთან მუშაობის უნარს, იდენტიფიცირების, გაანალიზების, ექსპერიმენტირებისა და პრობლემის გადამჭრელი შედეგების მოწოდების მიმართულებით. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს, კურსდამთავრებულს განუვითაროს კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი. სტუდენტები იძენენ ცოდნას და უნარებს როგორც ადგილობრივი,

ასევე საერთაშორისო ხელოვნებისა და დიზაინის პრაქტიკაში და ხელს უწყობენ ქვეყნის კულტურულ განვითარებას.

მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ისინი რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნების წვლილი საზოგადოებაში განსაზღვრულია ვიზუალური კომუნიკაციის მრავალფეროვანი დისციპლინით და ის განაპირობებს საზოგადოების ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობას, ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას თანამედროვე კულტურულ პროცესებში და ასევე აქტიურ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების კულტურულ-ესთეტიკური განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- გასაუბრებები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტამდე ჩვენთვის მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშზე და ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებზე დაყრდნობით, გამოვლინდა, რომ პროგრამების სწავლის შედეგები ლოგიკურად არის შემუშავებული და დაკავშირებულია ვიზუალური კომუნიკაციის დარგის მოთხოვნებთან.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად ჩამოყალიბებულია, შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს და ითვალისწინებს ყველა იმ კომპონენტს, რაც სტუდენტებს სჭირდებათ იმისათვის, რომ გახდნენ უახლესი ცოდნისა და უნარების მქონე პროფესიონალები შემოქმედებით ინდუსტრიაში.

სწავლის შედეგების ფორმულირება ზედმიწევნით განხორციელებული ეტაპობრივი პროცესი იყო და ითვალისწინებდა ვიზუალური კომუნიკაციის დისციპლინის სპეციფიურ თავისებურებებს. ეს ეტაპობრივი პროცესი ასევე მოიცავდა დაინტერესებული პირების მონაწილეობას, კერძოდ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და დამსაქმებლებს/გარე შემფასებელს. სწავლის შედეგები აძლევს სტუდენტებს პასუხისმგებლობის გრძნობას, რათა უზრუნველყონ სწავლებისა და სწავლის უწყვეტი პროცესი პროგრამის დამთავრების შემდეგ. მისასალმებელია ის ცნება, რომ სტუდენტებს ასწავლიან დამოუკიდებლად სწავლას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- გასაუბრებები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტამდე ჩვენთვის მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშზე და ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებზე დაყრდნობით, გამოვლინდა, რომ ბაკალავრიატის 4 წლიანი ციკლის მიმდინარეობისას მოქმედებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლებიც სისტემატურად ხორციელდება.

ხორციელდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფების მიერ სრული ინსპექტირება და ხარისხთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. შეფასება და უკუკავშირი მოიცავს სასწავლო პერსონალის, სტუდენტების/კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისთვის განკუთვნილ კითხვარებს/ინტერვიუებს; ამ გამოკითხვების შედეგები გაანალიზებულია და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშისა და სილაბუსების განხილვის შედეგად ჩანს, რომ შეფასების ეს სისტემა გამჭვირვალეა და ითვალისწინებს დარგისა და განათლების სფეროს თავისებურებებს. სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებიდან ვლინდება, რომ მათ შეფასების სისტემასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდათ, მაგრამ ამას მარტივად აგვარებენ, უშუალოდ ლექტორის ან დეკანის დახმარებით, არგუმენტების გაცვლითა და დასაბუთებით. სტუდენტების რაოდენობა დაბალანსებულია ქვეყნის ბაზრის გათვალისწინებით, რამეთუ უნივერსიტეტის პრიორიტეტი ხარისხიანი კადრების გამოშვებაა. პრინციპში, პლაგიატის გამოვლენის საჭიროების საკითხი არ დგას, რადგან სტუდენტები ჩართულნი არიან პროცესში და ლექტორებს არ უჭირთ მათი მუშაობის მონიტორინგი, რადგან ლექტორები უშუალოდ მონაწილეობენ პროექტების შექმნაში და აქტიურად აკონტროლებენ პროცესს. ამიტომ, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი შეფასება სტუდენტის მიმართ ობიექტურია. საკონსულტაციო საათებში სტუდენტები ძირითადად

დაინტერესებულნი არიან გაცვლითი პროგრამებით და მასწავლებლების პირადი გამოცდილებით. პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების ყველა მეთოდს.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების მეთოდებს და სტუდენტებთან გასაუბრებიდან გამოვლინდა, რომ მათი შეფასება ხდება გამჭვირვალედ და სამართლიანად. შეფასებით გამოწვეულ მცირე უკმაყოფილებაზე რეაგირებაც დროულად ხდება და ამ მხრივ ლექტორები უზრუნველყოფენ დასაბუთებულ უკუკავშირს.

სისტემატური კომუნიკაციისა და უკუკავშირის საშუალებით სტუდენტებსა და ლექტორებს საშუალება ეძლევათ იყვნენ გამჭვირვალენი სასწავლო პროცესის მიმართ, დააკვირდნენ პროცესს და მოახდინონ დროული რეაგირება. ადმინისტრაცია ასევე მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს სტუდენტების კითხვარების გამოყენებით და, პერიოდულად, ადმინისტრაციის წარმომადგენლის თანდასწრებით, აკვირდება ლექციას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ლექტორებს ეხმარება სილაბუსების შემუშავებაში. იგი ასევე აძლევს ლექტორებს რეკომენდაციებს, რომ გამოიყენონ საგნის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები და ამგვარად უზრუნველყონ კომპეტენციის სამართლიანი შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში და დანართები (ჩაბარებული დოკუმენტები);
- ადგილზე ვიზიტი;
- გასაუბრებები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (e-learning და სხვა);
- სილაბუსები;
- ინტერვიუები.
-

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტამდე ჩვენთვის მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშზე და ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებზე დაყრდნობით, გამოვლინდა რომ ვიზუალური კომუნიკაციის 4 წლიან საბაკალავრო პროგრამას აქვს მყარი და ძალიან მკაფიო სტრუქტურა, რაც უზრუნველყოფს კომპეტენტური პროფესიონალების მომზადებას საქართველოსა თუ უცხოეთის შემოქმედებითი ინდუსტრიისთვის. ამ სტრუქტურის აგებისას, მაქსიმალური ძალისხმევა დაიხარჯა, რომ იგი შესაბამისობაში ყოფილიყო საქართველოს კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება ბოლონიის პროცესსა და კრედიტების განაწილების ევროპულ სისტემას.

პროგრამის სტრუქტურა შემუშავდა სხვადასხვა მოსაზრების გათვალისწინებით, მათ შორის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების/კურსდამთავრებულების და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინებით; განხორციელდა ასევე პროგრამის სტრუქტურის შედარება ევროკავშირისა და აშშ-ს სხვა აღიარებულ დაწესებულებებთან.

შინაარსი და სტრუქტურა მოიცავს თეორიისა და პრაქტიკის ძალიან კარგ ბალანსს, რაც იძლევა სწავლებისა და სწავლის განვითარების შესაძლებლობას ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მეშვეობით. ვიზუალური კომუნიკაცია/მედია ხელოვნების სწავლის

სფეროების დარგობრივი მახასიათებელი განისაზღვრება როგორც „შექმნა და შემოქმედებითობა“. ის თანამედროვე ტენდენციის მიხედვით, „საერთო მახასიათებლების და საზიარო ფასეულობების“ ჭრილში ვითარდება და მოიცავს შვიდ საერთო მახასიათებელს:

- კონცეპტუალური აზროვნება, იდეის ფორმირება, განხორციელება და წარდგენა;
- ისტორია, თეორია და კულტურა;
- შემოქმედებითი პროცესების გადააზრება/გადაფასება, ინტერპრეტაცია;
- ექსპერიმენტული, ინოვაციური მიდგომები და თემატური კვლევები;
- ციფრული და ტექნოლოგიური ინსტრუმენტები/პროგრამული უზრუნველყოფა;
- კომუნიკაცია, კოლაბორაცია და ინტერდისციპლინარული ოპერირება;
- შემოქმედებითი მეწარმეობა.

ყველა საჭირო დოკუმენტაციამ, გასაუბრებებმა და შემოწმებებმა ცხადყო, რომ ეს პროგრამა და უნივერსიტეტი ნამდვილად აკმაყოფილებს ჩამოთვლილ პუნქტებს.

დარგში წარმატებული პროფესორების გუნდის დახმარებით, სტუდენტებს აქვთ წვდომა უახლეს ინფორმაციაზე. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, მათი პრიორიტეტია, დაეხმარონ მომავალ პროფესიონალებს საკუთარი უნიკალური ვიზუალური ენის/ხედვის განვითარებაში. რასაც ისინი წლების განმავლობაში წარმატებით აკეთებდნენ და სწამთ, რომ ამ წლების განმავლობაში მოახერხეს მსგავსი პროგრამების კონკურენტულ გარემოში საკუთარი თავის დამკვიდრება და დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის მხატვრული სივრცის იმიჯის შეცვლაში, ასევე გავლენა მოახდინეს ქართულ დიზაინსა და ვიზუალურ ხედვაზე.

ამას მოწმობენ მათი წარმატებული სტუდენტები, რომლებიც სისტემატურად გამოფენენ ნამუშევრებს სხვადასხვა გამოფენებზე და აქტიურად არიან დასაქმებულები. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ უსდ-ს კარგი თანამშრომლობა აქვთ დამსაქმებლებთან, თუმცა ისინი კურიკულუმის შექმნისა და პროგრამის დახვეწის პროცესში ნაკლებად იყვნენ ჩართულები. დამსაქმებლებს მოგვიანებით გააცნეს უკვე სრულყოფილი პროგრამა. მიუხედავად ამისა, ისინი კარგად აფასებენ პროგრამის შედეგებს და კმაყოფილი არიან პროგრამის მიერ მოწოდებული პერსონალით. ისინი კმაყოფილნი არიან მათი მულტიდისციპლინური ცოდნით, რაც გულისხმობს მოქნილობას სხვადასხვა დამსაქმებლისთვის, იქნება ეს კრეატიული სააგენტო, გამომცემლობა და ა.შ. ეს მულტიდისციპლინურობა გამომდინარეობს იქიდან, რომ უნივერსიტეტი არის ღია და სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ სხვა ქვეყნების გამოცდილებას სასწავლო პროცესში, რასაც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საერთაშორისო სტუმრების მოწვევით. ასევე, მათთან თანამშრომლობით ქმნიან საავტორო ნამუშევრებს, მაგალითად, ღვინის შეფუთვის დიზაინის პროცესში, იციან ტექნოლოგია და აქვთ კომუნიკაცია ამ სფეროს სტუდენტებთან, რაც იძლევა გამოცდილებას კონკრეტული/მიზნობრივი აუდიტორიისთვის შემოქმედებითი პროდუქტის შემუშავებისთვის. ასევე, სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოვლინდა მათი პოზიტიური დამოკიდებულება, თუმცა ისინი ისურვებდნენ მეტ გაცვლით პროგრამას. სტუდენტებმა აღნიშნეს რომ კვლავ აირჩევდნენ ამ უნივერსიტეტში სწავლას და რომ მათ მოსწონთ ამ პროგრამაში შემაჯავლი

ინოვაციები. მივესალმებით უნივერსიტეტის პოლიტიკას, შექმნან ისეთი გარემო და საგანმანათლებლო პროგრამები რომელიც საერთაშორისო დონისაა და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერისთვის საქართველოში, ხარისხიანი და დროისათვის ადეკვატური განათლება ყველასათვის. ამას უნივერსიტეტი ხელს უწყობს დაფინანსებით, მას გააჩნია „ცოდნის ფონდი“. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ სტუდენტების სურვილი და რაც არ უნდა კარგი ანალოგი შევქმნათ ქვეყანაში, ამ სფეროში უფრო გამოცდილი საერთაშორისო კოლეგების გამოცდილების გაზიარება და მათი შემოქმედებითი გარემოს გაცნობა მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის და ქვეყნისთვის. მათი სწავლების მეთოდი ასევე გულისხმობს „სწავლება სწავლა“ მიდგომას, თვითგანათლების უნარებისა და მომავალში ცოდნის განახლების კულტურის განვითარებას. რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ სფეროში მუშაობისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ სფერო მიზნულია ტექნოლოგიებთან და ბაზრის მოთხოვნები მუდმივად ცვალებადია, ის სწრაფად განვითარებადი სფეროა და მუდმივად უნდა იყოს სიახლეების შესწავლის რეჟიმში. ეს უნარები ძალიან გამოადგება სტუდენტს, რათა მომავალში შეძლოს დამოუკიდებლად შეიძინოს და გაიღრმავოს კომპეტენციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- გასაუბრებები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (e-learning და სხვა);

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში
------------	------------------------------	--------------------------	----------------------------	------------------------

		ა	ა	მოთხოვნებთან
		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	ნ
1.4	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი				

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზიტამდე ჩვენთვის მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშზე და ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის 4 წლიანი პროგრამა და კონკრეტულად მისი კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევებს. სილაბუსები კარგად არის განსაზღვრული და ნათლად აღწერს სწავლა-სწავლების პროცესს. სილაბუსებში მითითებულია ყველა სასწავლო მასალა, როგორცაა ბიბლიოგრაფია, IT სერვისები და სხვა მასალები .

პროგრამის შესაბამისობა ბოლონის პროცესთან ასევე მხარს უჭერს და ამართლებს ურთიერთკავშირს პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის. პროგრამისთვის განკუთვნილი ECTS-ის ოდენობა არის 240, რაც გულისხმობს ყოველწლიურად 60 კრედიტს და ითვალისწინებს საკონტაქტო საათებს, ასევე სტუდენტების პერსონალურ დროს თითოეული კურსის მიზნების მისაღწევად. ერთი კრედიტი შეესაბამება 25-30 სასწავლო საათს.

თითოეული აკადემიური კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც აისახება პროგრამის სწავლის შედეგებში. თითოეული კურსის/კომპონენტის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგები ფასდება შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტებისა და კრიტერიუმების/რუბრიკების საფუძველზე. აღნიშნული სისტემა დეტალურად არის აღწერილი კურსის სილაბუსებში, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშის დანართებშია ჩამოთვლილი. თითოეული პროგრამის ყველა კურსი კარგად არის შესწავლილი და აქტუალურია შესაბამისი თანამედროვე ტენდენციებისა და უახლესი ტექნოლოგიების გათვალისწინებით. სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსები

შესაბამება სწავლის სფეროს მიღწევებს და ასევე ითვალისწინებს შესაბამის სფეროში უახლეს კვლევებს, მხედველობაში იღებს რა აკადემიური კურსის სპეციფიკას და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ზოგადად, სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა, პროგრამის სტრუქტურის მეშვეობით, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა კონკრეტულად პირველ წელს, როდესაც სტუდენტები გადიან სავალდებულო ლიბერალური მეცნიერებების კურსებს, ეს კურსები შეიძლება უფრო მეტად იყოს დაკავშირებული ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- გასაუბრებები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფასთან;
- კურსის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (e-learning და სხვა).

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, პირველი კურსის ზოგიერთი ლიბერალური მეცნიერებების კურსი მეტად მორგებული იყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებაზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებს
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას, სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე მიღების პროცესი, კერძოდ ტურების გზით, მოიცავს ორ ეტაპს: პორტფოლიოს განხილვასა და გასაუბრებას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს კანდიდატების ყოვლისმომცველ შეფასებას. ციფრული პორტფოლიოს წარდგენა კანდიდატებს საშუალებას აძლევს ეფექტურად წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლებლობები, რაც შეესაბამება პროგრამის შინაარსს და მიზნებს. შემდგომი გასაუბრების ეტაპი უფრო სიღრმისეულად აფასებს კანდიდატების მოტივაციას, ინტერესებსა და მათ პოტენციალს, დააკმაყოფილონ პროგრამის მოთხოვნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- საქართველოს კანონი "უმალესი განათლების შესახებ".

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულთა აქტივობები ცხადყოფს, რომ ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებში დარგის შესაბამისი უნარების განვითარებას. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგებიდან გამომდინარე და მათ შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამაში შემავალი პრაქტიკული საგნები ემსახურება ვიზუალური კომუნიკაციის კვალიფიკაციისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას, თანამედროვე სამყაროს მოთხოვნების გათვალისწინებით. პრაქტიკული საგნები ეფუძნება სტუდენტების სწავლების პრინციპს, რაც გულისხმობს სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობას შემოქმედებით საქმიანობაში. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული გაკვეთილები ეფუძნება მოქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას (სწავლა კეთებით). სალექციო აქტივობების ფარგლებში, სტუდენტებს მუდმივი შეხება აქვთ რეალურ პროექტებთან, მუდმივად არიან კონტაქტზე სხვადასხვა სააგენტოსთან, სტუდიასთან, გამომცემლობასთან, გალერეასთან და სხვა თემატურ ორგანიზაციასთან. პროგრამის პრიორიტეტია, დაეხმაროს მომავალ პროფესიონალებს საკუთარი უნიკალური ვიზუალური ენის/ხედვის განვითარებაში. სტუდენტები სისტემატურად გამოფენენ ნამუშევრებს სხვადასხვა გამოფენაზე და აქტიურად არიან დასაქმებულები. პროგრამის ფარგლებში ასევე მნიშვნელოვანი გამოცდილებაა თბილისის თავისუფალი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტების სკოლებს/პროგრამებს შორის თანამშრომლობა. ასეთია, მაგალითად,

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან თანამშრომლობა. ერთობლივი პროექტის ფარგლებში შექმნილი პროდუქცია (ყველა წესის დაცვით ჩამოსხმული სხვადასხვა სახეობის ღვინო, შესაბამისი შეფუთვით და ეტიკეტით) - უნივერსიტეტის დახმარებით, სტუდენტები, საჯაროდ წარდგებიან ღვინის ფესტივალზე. სტუდენტებმა ასევე იმუშავეს ჟურნალ VA[A]DS-ის შექმნაზე; პროექტის მიზანია ჟურნალის, როგორც სკოლის პერიოდული სტუდენტური გამოცემის, არსებობის გაგრძელება მომდევნო წლებში.

2023 წლის დასაწყისში თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩადო კახა ბენდუქიძის კამპუსის ტერიტორიაზე სპეციალური საგამოფენო დარბაზის (გალერეის) შესაქმნელად. ტრადიციული, საეტაპო გამოფენების გარდა, ვიზუალური კომუნიკაციის სტუდენტების ნამუშევრები მუდმივად არის წარმოდგენილი Behance-ის პლატფორმაზე, VA[A]DS-ის სპეციალურ სივრცეში (<https://www.behance.net/Vaads/projects>). 2021 წელს თავისუფალი უნივერსიტეტი იყო პირველი, რომელმაც სტუდენტური გუნდი წარადგინა „კანის ლომების“ ადგილობრივ შესარჩევ კონკურსზე. 2022 წელს თავისუფალმა უნივერსიტეტმა კონკურსზე უკვე წარადგინა 3 სტუდენტური გუნდი, რომელთაგან ერთმა ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვა. კონკურსის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ჯილდო სტუდენტებმა მოიპოვეს. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის საქმიანობისა და სკოლის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე <https://www.facebook.com/VisualArtArchitectureandDesignSchool>.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა აშია	ნაწილობრივ შესაბამისობა აშია	არ შესაბამე ბა
------------	--------------------------------	----------------------------	------------------------------	----------------

			მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებს
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამისა და კომუნიკაციის დიზაინის) საბაკალავრო კურსების სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება განათლების დონეს და ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტებს. საბაკალავრო პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტის განსახორციელებლად უნივერსიტეტი იყენებს სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდს: სწავლების ვერბალური მეთოდი; ლიტერატურაზე და პუბლიკაციებზე მუშაობის მეთოდი; წერიტი მუშაობის მეთოდი; გუნდური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, დემონსტრაციული, ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის, სინთეზის, პრაქტიკული, განმარტებითი, ინტერაქტიული, შედარებითი მეთოდები; მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლა; თანამშრომლობითი სწავლა; დისკუსია/დებატები; გონებრივი იერიში.

ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. თუ სხვა მეთოდი გამოიყენება, შესაბამისი ინფორმაცია მითითებულია სილაბუსში.

პროგრამის დოკუმენტაცია და თვითშეფასების ანგარიში აღწერს სწავლების სხვადასხვა მეთოდს, რომლებიც შეესაბამება კურსების მიზნებს; სილაბუსები ნათელია, შედგენილია საჭირო თეორიული ინფორმაციით, საჭირო ლიტერატურით და სემინარების სახით წარმოდგენილი პრაქტიკული დავალებებით. სილაბუსებში ასევე შედის სწავლის დამოუკიდებელი (do-it-yourself) მეთოდი, რომელიც ეხმარება სტუდენტს მეტი ექსპერიმენტის ჩატარებასა და შეცდომებზე დაკვირვებაში. სწავლებისა და სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- ადგილზე ვიზიტი.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალება, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, სხვა დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტის შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. იგი გამჭვირვალება, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

პროგრამის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან და ფორმულირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად. პროგრამაში გამოყენებულია შეფასების სისტემა, რომელიც მრავალი კომპონენტისგან შედგება, როგორცაა დისკუსიებში მონაწილეობა, შუალედური შეფასებები, ქვიზები, პრაქტიკული დავალებები, პროექტები,

წერილობითი ნაშრომები, ზეპირი გამოცდები, პრეზენტაციები და დასკვნითი გამოცდები. შეფასების სისტემა, თითოეული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ეფექტურად აფასებს სტუდენტების პროგრესსა და მიღწევებს.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შეფასების კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას. თითოეული შეფასების კომპონენტისთვის შემუშავებულია დეტალური რუბრიკები, რომელთა მიხედვითაც ხდება სტუდენტთა მუშაობის ზუსტი შეფასება. ეს რუბრიკები, შეფასების სკალებთან ერთად, შედის სილაბუსში და ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის საინფორმაციო სისტემის მეშვეობით. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები და მოთხოვნები სწავლის დაწყებიდანვე, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები.

შეფასების პროცესი ხაზს უსვამს უკუკავშირის მნიშვნელობას. როგორც ლექტორები, ასევე სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ უკუკავშირის მიცემაში, შედეგების ანალიზსა და გაუმჯობესების რეკომენდაციების მიწოდებაში. უკუკავშირის სესიები, კრიტიკა და დისკუსიები მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში და სწავლის შედეგების მიღწევაში. უნივერსიტეტი მოუწოდებს სტუდენტებს წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და შეფასება მიიღონ თანატოლებისა და ლექტორებისგან, განავითარონ თავიანთი პრეზენტაციის უნარები და მხატვრული შემოქმედება.

უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური და კვლევითი ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმებს. წერილი გამოცდები საგამოცდო ცენტრში ტარდება კონტროლირებად გარემოში, რასაც მინიმუმამდე დაყვანილია გადაწერისა და გარე წყაროების არასანქცირებული გამოყენების რისკი. უნივერსიტეტი ყველანაირ ზომებს იღებს პლაგიატის შესამცირებლად და სტუდენტებმა იცინ, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევაში პასუხი მოეთხოვებათ.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შეფასების გასაჩივრების გამჭვირვალე და ობიექტურ პროცესს. სტუდენტებს უფლება აქვთ განსაზღვრულ ვადაში გაასაჩივრონ შუალედური და დასკვნითი შეფასებები და შეფასების განხილვის პროცესისთვის არსებობს კარგად განსაზღვრული პროცედურა. საჭიროების შემთხვევაში, პროცესი გულისხმობს შეფასების შედეგების ხელახალ განხილვას სხვა შემფასებელ(ებ)ის მიერ, რაც სტუდენტებს სამართლიან შესაძლებლობას აძლევს დააკმაყოფილონ მათ შეფასებაში შეტანილი ნებისმიერი ეჭვი.

საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონული და დისტანციური სწავლების მეთოდებს, კომპონენტის სპეციფიკისა და შინაარსის გათვალისწინებით. შეფასების სისტემა იყენებს ამ მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების შეფასების სანდოობასა და ვალიდობას სწავლის დროს.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის შეფასებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ პროგრამა შესაბამისობაშია სტუდენტის შეფასების სტანდარტთან. უნივერსიტეტის ვალდებულება დაიცვას გამჭვირვალობა, სამართლიანობა და დადგენილი პროცედურები უზრუნველყოფს შეფასების საიმედო და ეფექტურ სისტემას. უკუკავშირისა და უწყვეტი გაუმჯობესების პრაქტიკის ინტეგრირება კიდევ უფრო აძლიერებს სტუდენტების აკადემიურ გამოცდილებას, რაც სწავლის შედეგების მიღწევას უწყობს ხელს. უნივერსიტეტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების ხელშეწყობისა და პლაგიატის თავიდან აცილების ძალისხმევა ასახავს მის პოზიციას შეინარჩუნოს განათლებისა და შეფასების უმაღლესი სტანდარტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- გასაუბრებები;
- სტუდენტთა ეთიკის კოდექსი;
- გამოცდების ჩატარების პროცედურა.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება:	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, ათვისების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, სხვა დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სტუდენტები პროგრამაში ჩართული პირებისა და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულებისგან იღებენ შესაბამის მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარებისთვის.

ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებებმა აჩვენა, რომ სტუდენტებმა კარგად იციან კურიკულუმის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და დასაქმების არსებული შესაძლებლობების შესახებ.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ ინფორმაციას და საკონსულტაციო მომსახურებას, რათა დაგეგმონ სწავლის პროცესი, გააუმჯობესონ აკადემიური მიღწევები და გაზარდონ მათი დასაქმების შესაძლებლობები. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს კერძო კომპანიებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამთავრობო დაწესებულებებთან, გალერეებთან, მუზეუმებთან და საერთაშორისო ხელოვნების ორგანიზაციებთან. კარიერული

განვითარების სამსახური სემესტრში ერთხელ აწყო დასაქმების ფორუმს, რომელიც საშუალოდ 100- მდე კომპანიას იზიდავს. გარდა ამისა, კარიერული განვითარების მენეჯერი პირად რეკომენდაციებსა და მითითებებს გასცემს ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, უფრო ადრე, ვიდრე სტუდენტები განაცხადს შეიტანენ ამა თუ იმ ვაკანსიაზე ან სტაჟირების პროგრამაზე.

პროგრამა სტუდენტებს აწვდის რეალურ მაგალითებს და სხვადასხვა ამოცანისა და პროექტის მეშვეობით, ხელს უწყობს რეალურ კლიენტებთან და დამსაქმებლებთან კომუნიკაციას. ეს პრაქტიკა არა მხოლოდ აძლიერებს სტუდენტების პროფესიულ ქსელს, არამედ ზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობებს შესაბამისი უნარებისა და გამოცდილების განვითარებით.

უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის, ბაკალავრიატის დებულება და სტუდენტთა ეთიკის კოდექსი, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ეს დოკუმენტები სრულყოფილად ასახავს სტუდენტების უფლებებს, მოვალეობებს და შესაძლებლობებს საგანმანათლებლო სისტემაში. სტუდენტების კანონიერი უფლებების დაცვა ინსტიტუციონალიზებულია და უზრუნველყოფილია სტუდენტთა დეკანის არსებობით, რომელიც ხელმძღვანელობს კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა და პოტენციურ სტუდენტთა ოფისს. სწორედ ის არის პირველი საკონტაქტო პირი ნებისმიერი საკითხის ან პრობლემის შემთხვევაში.

თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტს სურს შექმნას ინკლუზიური შიდა საუნივერსიტეტო სივრცე, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა სტუდენტის, მათ შორის საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციას. ეს ინტეგრაცია აუცილებელია იმისთვის, რომ სტუდენტმა თავი კომფორტულად იგრძნოს, და უზრუნველყოფს მრავალფეროვან და თბილ სასწავლო გარემოს.

გარდა ამისა, როგორც გასაუბრების დროს აღინიშნა, სტუდენტებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის მიწოდება ხელს შეუწყობს მათ საერთო კეთილდღეობასა და აკადემიურ წარმატებას.

პროგრამა ორიენტირებულია იმაზე, რომ სტუდენტებს მისცეს შესაძლებლობა ჩაერთონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებსა და კვლევებში, რაც შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. ეს პროაქტიული მიდგომა ეხმარება სტუდენტებს გამოიკვლიონ შესაბამისი შესაძლებლობები, რომლებიც ავსებენ მათ აკადემიურ მიზნებსა და კარიერულ მისწრაფებებს.

სტუდენტების აკადემიური და კარიერული განვითარების შემდგომი ხელშეწყობის მიზნით, სასურველია უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სტუდენტების სურვილი ჩაერთონ მეტ გაცვლით პროგრამაში. საერთაშორისო გაცვლის შესაძლებლობების გაზრდით, სტუდენტები მიიღებენ ღირებულ გლობალურ პერსპექტივებს და გააფართოვებენ თავიანთ კულტურულ ცნობიერებას.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური, კვლევითი, მოწვეული, ადმინისტრაციული და სხვა პერსონალი კონსულტაციებს უწევს სტუდენტებს სასწავლო პროცესის შესახებ და ცდილობს ჩართოს ისინი პროგრამის სხვადასხვა აქტივობაში. ფაკულტეტის მიერ გაწეული მხარდაჭერა და მენტორობა გადამწყვეტ როლს თამაშობს სტუდენტების აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაში.

პროგრამა გამოირჩევა იმით, რომ სტუდენტებს სთავაზობს რეალურ მაგალითებს, ინტეგრაციის შესაძლებლობებს და ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებზე წვდომას. თუმცა, პროგრამის ეფექტურობის შემდგომი გაზრდის მიზნით, სასურველია, რომ უნივერსიტეტმა:

1. გაზარდოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, რითაც დააკმაყოფილებს სტუდენტების სურვილს მიიღონ მეტი გლობალური გამოცდილება.
2. უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური მხარდაჭერა სტუდენტების კეთილდღეობისა და აკადემიური წარმატებისთვის.

მთლიანობაში, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა ასახავს მის აქცენტს სტუდენტების წარმატებაზე და ქმნის ძლიერ საფუძველს მათი აკადემიური და პროფესიული ზრდისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა;
- o თვითშეფასების ანგარიში;
- o გასაუბრებები;
- o სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- o მემორანდუმები და ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან;
- o კონსულტაციების ცხრილი;
- o სტუდენტთა ეთიკის კოდექსი;
- o თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმოხილვა და გეგმა;
- o ინფორმაცია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიღწევების შესახებ;
- o ელექტრონული მონაცემთა ბაზები;
- o უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- o არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, რომ უნივერსიტეტმა:

- o გააფართოვოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, რათა დააკმაყოფილდეს სტუდენტთა სურვილი, მიიღონ მეტი გლობალური გამოცდილება.

- უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის სერვისები, სტუდენტების კეთილდღეობისა და აკადემიური წარმატებისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/ დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადებები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მათთან მუშაობა მიღწევები, ინდივიდუალური	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/ სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/ სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. ასევე, უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ- ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს. მათ აქვთ ყველა საჭირო კომპეტენცია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების სწორად შესრულებას. ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს აკადემიურ პერსონალს და გეგმავს მათი პროფესიული განვითარების აქტივობებს. პროფესორებს აფასებენ კითხვარებით, მაგრამ უკუკავშირი ეძლევათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად მოითხოვენ. როგორც გასაუბრებებიდან ჩანს, ამ კითხვარების გაზიარება ყველა შემთხვევაში არ ხდება, მხოლოდ უარყოფითი შეფასების დროს. გამოკითხვიდან ჩანს, რომ ამ კითხვარებთან დაკავშირებით შეხვედრები თითქმის არავის ჰქონია.

სტუდენტების გამოკითხვიდან ჩანს მათი კმაყოფილება, მათ ეხმარებიან დასაქმებაში, ისინი ჩართულნი არიან რეალურ პროექტებში და ხარისხიანი პორტფოლიოს შექმნაში. თუმცა, მათ ჰქონდათ რამდენიმე პრეტენზია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მათი აზრით არ იყო საჭირო და რაზეც დაკარგეს დრო, რომელიც შეიძლებოდა უფრო პროდუქტიულად გამოეყენებინათ. პერსონალი შეირჩევა მათი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მიხედვით, რაც დასტურდება მათი რეზიუმეებითა და გამოცდილებით. დარგში წარმატებული პროფესორების გუნდის დახმარებით, სტუდენტებს წვდომა აქვთ უახლეს ინფორმაციაზე, გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის

განვითარებისთვის საჭირო ცოდნა და საერთაშორისო გამოცდილება, და იგი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამის დიდ უპირატესობად ითვლება ის ფაქტი, რომ იგი ეხმარება მომავალ პროფესიონალებს საკუთარი უნიკალური ვიზუალური ენის/ ხედვის განვითარებაში. რასაც ისინი წლების მანძილზე წარმატებით ახორციელებდნენ და მიაჩნიათ, რომ ამ წლების განმავლობაში მოახერხეს მსგავსი პროგრამების კონკურენტულ გარემოში დამკვიდრება და დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის მხატვრული სივრცის იმიჯის შეცვლაში, რითაც გავლენა მოახდინეს დიზაინსა და ვიზუალურ ხედვაზე საქართველოში. ამას მოწმობენ მათი წარმატებული სტუდენტები, რომლებიც სისტემატურად აწყობენ სხვადასხვა გამოფენებს და აქტიურად არიან დასაქმებულები.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	58	30		13
პროფესორი	6	1	1	5
ასოცირებული პროფესორი	7	2		7
ასისტენტ-პროფესორი	1			1
ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	0	1	1	–
სამეცნიერო პერსონალი	0			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის CV-ები;
- პერსონალის სამუშაო დატვირთვა;
- სილაბუსები;
- გასაუბრებების შედეგები.

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

რეკომენდაციები:

○ არ არის მითითებული რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრატურასა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო- კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა			

პროფესორი:			
ასოცირებული პროფესორი			
ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/ კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერის მუშაობა გამოიხატება ორი, პროაქტიული და რეაქტიული მიდგომით. პროაქტიული მიდგომა გულისხმობს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში აკადემიური პერსონალის მაღალეფექტური ჩართულობის ხელშეწყობას და სწავლების ხარისხის განვითარებას წინასწარ დაგეგმილი პერიოდული ტრენინგებით და ინდივიდუალური კონსულტაციებით. რეაქტიული მიდგომა გულისხმობს შეფასების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების გადაჭრის მიზნით აკადემიური პერსონალის განვითარების ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას/განხორციელებას. ეს მათ ეხმარება დახვეწონ სწავლების სტრატეგიები და მეთოდები. რის შედეგადაც ვიღებთ პედაგოგიური უნარების შემდგომ განვითარებას და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

ისინი ასევე ახორციელებენ აკადემიური პერსონალისა და მეცნიერთა ყოველწლიური საქმიანობის შეფასების შედეგების მონიტორინგს. უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი. იგი გეგმავს ღონისძიებებს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის

მიზნით, კერძოდ:

- შეიმუშავებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მეთოდებს;
- ხელს უწყობს უნივერსიტეტის სწავლების მეთოდების, ტექნოლოგიებისა და შეფასების სისტემაში თანამედროვე მიდგომების დანერგვასა და განვითარებას;
- ხელს უწყობს და ეხმარება აკადემიურ პერსონალს სილაბუსის სწორ მეთოდოლოგიაში, სწავლებისა და სწავლის სტრატეგიების უზრუნველყოფაში;
- ატარებს ტრენინგებს აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის, მეთოდოლოგიებისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით;
- უზრუნველყოფს სილაბუსების განთავსებას უნივერსიტეტის ელექტრონულ სივრცეში;
- მონაწილეობს საჩვენებელ ლექციებში აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით;
- მონაწილეობს მეთოდოლოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებში.

ის ხელს უწყობს სამეცნიერო/ კვლევითი საქმიანობის განხორციელებასაც კი.

სამეცნიერო სამსახურის კოორდინატორი, კერძოდ:

- იკვლევს ახალ საგრანტო კონკურსებს, სწავლობს კონკურსის პირობებს და ავრცელებს ინფორმაციას კონკურსების შესახებ;
- აგროვებს და ამუშავებს საკონკურსო დოკუმენტაციას;

- აწესრიგებს დოკუმენტებს გრანტებზე წარსადგენად;
- აწარმოებს სამეცნიერო ნაწილის ბიუჯეტებს;
- ამზადებს წლიურ და შუალედურ ანგარიშებს (მიმდინარე და დასრულებული გრანტების წარმოება);
- აწარმოებს მეცნიერების რეიტინგებს;
- აქვს საქმიანი ურთიერთობა საგრანტო კონკურსების კოორდინატორებთან;
- აწყობს სამეცნიერო სამსახურთან დაკავშირებულ შეხვედრებს, სამეცნიერო კონფერენციებს, პრეზენტაციებს, სემინარებს და შიდა საუნივერსიტეტო პროექტებს;
- შეიმუშავებს პროექტის ბიუჯეტს;
- განაახლებს საიტზე განსათავსებელ ინფორმაციას;
- იკვლევს, ამუშავებს და აანალიზებს საჭირო ინფორმაციას;
- ურთიერთობს მეცნიერებთან (დოკუმენტაციის ანალიზი, დამუშავება);
- აწარმოებს მიმდინარე სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას.

გასაუბრების დროს პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მათ არასოდეს ჰქონიათ პრობლემა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ფინანსური მხარდაჭერის გამო, ან რაიმე სახის შეფერხება, მაშინაც კი, როცა ღონისძიება ექსპრომტად იყო ან აუცილებელი გახდა რაიმე ცვლილების განხორციელება წინასწარი შეთანხმების გარეშე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ენახა საკლასო ოთახები, ლაბორატორიები და ღია სივრცეები, რომლებიც გამოიყენება მოცემული პროგრამისთვის. ზოგიერთი ლაბორატორია ახლახანს გარემონტდა და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თითქმის 24/7. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა ცალკე შენობა დაუთმო იმ ფაკულტეტს, სადაც ეს პროგრამა ხორციელდება. ექსპერტთა ჯგუფი ასევე ეწვია სხვა სივრცეებს, როგორცაა უნივერსიტეტის მუზეუმი, საგამოცდო ცენტრი, საკონფერენციო დარბაზები, რომლებსაც ამ პროგრამის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები იყენებენ.

წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, გაუგებარი იყო, თუ რა საბიბლიოთეკო მომსახურებას სთავაზობს უნივერსიტეტი თავის სტუდენტებს/პერსონალს, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით, თვითშეფასების ანგარიშის ქვესტანდარტის 4.4 შედგენისას სასურველია მეტი დეტალი შევიდეს ბიბლიოთეკის სერვისებთან დაკავშირებით. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას, ასევე ბიბლიოთეკაში ვიზიტის შემდეგ დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობის გარდა არსებობს ადგილი ჯგუფური მუშაობისთვის. ბიბლიოთეკა იმართება ღია თაროების პრინციპით და ბეჭდური რესურსების გარდა, მკითხველისთვის ხელმისაწვდომია Elsevier- ის მონაცემთა ბაზები - ScienceDirect და Scopus (წვდომას უზრუნველყოფს საქართველოს განათლების სამინისტრო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეშვეობით). ვინაიდან Elsevier ძირითადად ორიენტირებულია STEM- ზე, სასურველია ბიბლიოთეკამ მიიღოს წვდომა დამატებით მონაცემთა ბაზაზე, რომელიც უფრო სასარგებლო იქნება ამ ფაკულტეტისა და პროგრამის სტუდენტებისთვის/ პერსონალისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ვერც სტუდენტებმა და ვერც კურსდამთავრებულებმა ვერ დაასახელეს ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებული ტრენინგის მაგალითები, გარდა ერთი შეხვედრისა საორიენტაციო კვირეულის დროს. ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა განმარტეს, რომ ისინი ძირითადად ინდივიდუალურ კონსულტაციებს უწევენ სტუდენტებს მათი თხოვნის საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია ბიბლიოთეკამ შეიმუშავოს რამდენიმე ტრენინგი შემდეგ თემებზე: ინფორმაციის მოძიება; საინფორმაციო წიგნიერება; მუშაობა აკადემიურ წყაროებთან ან ნებისმიერი სხვა, და გაავრცელოს ისინი სტუდენტებს შორის, რათა კიდევ უფრო გაზარდოს მათი ინფორმაციული წიგნიერების უნარი. ექსპერტთა ჯგუფმა ორჯერ გადაამოწმა, იყო თუ

არა სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკაში და დაადგინა, რომ სახელმძღვანელოების უმეტესობა მოცემულია PDF ფორმატში; მიუხედავად იმისა, რომ ეს რესურსები გამოიყენება მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისთვის და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, ექსპერტთა ჯგუფის რჩევით, უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს ევროკავშირის რეგულაციებში არსებული საავტორო უფლებების პრინციპები, რათა თავიდან აიცილოს წიგნების ან სხვა ნებისმიერი საინფორმაციო რესურსის არაავტორიზებული სკანირება.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის შექმნილია ადეკვატური გარემო, თანამედროვე სალექციო ოთახები, დარბაზები, ლაბორატორიები, სტუდიები და დაცულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები. თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს აქვს მაღალი დონის, თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურა. შენობები აღჭურვილია სასწავლო გარემოსთვის საჭირო ინვენტარით. უნივერსიტეტის ყველა აუდიტორია აღჭურვილია პროექტორით. ასევე, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის დასაწყისში თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა განახორციელა ინვესტიცია კახა ბენდუქიძის კამპუსის ტერიტორიაზე სპეციალური საგამოფენო დარბაზის (გალერეის) შესაქმნელად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი და ობიექტების დათვალიერება;
- შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, უსდ-მ გაითვალისწინოს ევროკავშირის რეგულაციებში არსებული საავტორო უფლებების დაცვის პრინციპები და მოერიდოს წიგნების ან ნებისმიერი საინფორმაციო რესურსის არაავტორიზებულ სკანირებას.
- სასურველია საბიბლიოთეკო სერვისების მიერ გარანტირებული იყოს წვდომა იმ აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც შეესაბამება ამ ფაკულტეტს/პროგრამას.
- ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, საბიბლიოთეკო სერვისების მიერ შემუშავდეს რამდენიმე ტრენინგ-მოდული ინფორმაციის მოძიებაზე, საინფორმაციო წიგნიერებაზე; ასევე აკადემიურ წყაროებსა თუ სხვა მასალებზე მუშაობაზე და ფართოდ გაეწიოს ამას პოპულარიზაცია სტუდენტებს შორის, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს მათი უნარები საინფორმაციო წიგნიერების კუთხით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4. მატერიალური რესურსები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროგრამას არ გააჩნია ცალკე ბიუჯეტი, ის უნივერსიტეტის ბიუჯეტის ნაწილია. თავად ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯებისგან, შემოსავლების უმეტესი ნაწილი მოდის სტუდენტების სწავლის საფასურიდან, რომელიც განსხვავდება პროგრამების მიხედვით. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტი ადასტურებს, ამ სასწავლო პროგრამაზე კონკურსი წლიდან წლამდე იზრდება, ერთ ადგილზე საშუალოდ 4- 5 კანდიდატია, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სტუდენტთა მიღებასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ყოფილა. ეს, თავის მხრივ, პროგრამების ფინანსური მდგრადობის გარანტია. რაც შეეხება ხარჯებს, უმეტესი ნაწილი მიდის პერსონალის ხელფასებზე, მთელი ბიუჯეტის 0,8% ხმარდება ბიბლიოთეკის რესურსებს. ექსპერტთა ჯგუფის რჩევით, დაწესებულებამ უნდა გაზარდოს ბიბლიოთეკის ბიუჯეტი აკადემიურ მონაცემთა ბაზებზე ან სხვა საინფორმაციო რესურსებზე წვდომის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიუჯეტის დოკუმენტი;
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.
-

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, უნივერსიტეტის წლიურ ბიუჯეტში საბიბლიოთეკო ხარჯების გაზრდა, რაც შესაძლებელს გახდის საინფორმაციო რესურსების განახლებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/ პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დადგინდა, რომ მოცემული სასწავლო პროგრამისთვის გამოიყენება შიდა ხარისხის შეფასების სტანდარტული მიდგომები. კერძოდ, აღნიშნული პროცესი მუშაობს "დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, განვითარება" ციკლის მიხედვით. ეს პროცესი მოიცავს როგორც პერსონალის შეფასებას, ასევე სტუდენტების გამოკითხვის ფორმების ანალიზს. მიღებული შედეგების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელს და უნივერსიტეტის მმართველ ორგანოს წარუდგენს რეკომენდაციებს, რის საფუძველზეც საჭიროების შემთხვევაში იგეგმება ინტერვენციები.

პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი მოიცავს როგორც აკადემიურ, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს ფაკულტეტის დონეზე და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის მომსახურებას. ექსპერტთა პანელი შეხვდა თვითშეფასების პროცესში ჩართულ პერსონალს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებისა და შემუშავების პროცესში, როლები გადანაწილებულია მათი კომპეტენციების მიხედვით. გარდა ამისა, სტუდენტები და კურსდამთავრებულებიც აქტიურად მონაწილეობენ თვითშეფასების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფმა რამდენიმე კითხვა დასვა იმის გასარკვევად, თუ როგორ მიეწოდება აკადემიურ პერსონალს მათი შეფასების შედეგები. როგორც გასაუბრებისას გაირკვა, თუ შეფასება დადებითია, აკადემიური პერსონალი ამის შესახებ ინფორმაციას არ იღებს. თუ შეფასებისას გამოვლინდება გაუმჯობესების სფეროები, ეს ინფორმაცია უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელისგან სიტყვიერად გადაეცემა კონკრეტულ აკადემიურ პერსონალს. ექსპერტთა ჯგუფის რჩევით, უნდა მოხდეს აკადემიური პერსონალის ინფორმირება (წერილობითი უკუკავშირის საშუალებით) მათი შეფასების შედეგების შესახებ (როგორც დადებით, ასევე უარყოფით შემთხვევაში) და ამ პროცესის ფორმალიზება. ეს დადებითად აისახება პერსონალის მოტივაციაზე და გააუმჯობესებს პროგრამების ხარისხს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია მოხდეს აკადემიური პერსონალის ინფორმირება (წერილობითი უკუკავშირის საშუალებით) მათი შეფასების შედეგების შესახებ (როგორც დადებით, ასევე უარყოფით შემთხვევაში) და ამ პროცესის ფორმალიზება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამამ 2018 წელს მიიღო აკრედიტაცია, ხოლო მოგვიანებით, 2021 წელს, ასევე შეფასდა გარე შემფასებლების მიერ, ორივე შემთხვევაში მისი შეფასება იყო „სრულ შესაბამისობაშია არსებულ სტანდარტებთან“, ყოველგვარი რეკომენდაციის ან რჩევის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის გარე შემფასებლების მიერ არ გამოვლინდა გაუმჯობესების სფეროები, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა აღნიშნა, რომ ისინი იყენებენ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ზომებს პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. უფრო მეტიც, დაწესებულება განიხილავს ხარისხის გარე შეფასების მექანიზმებს, როგორც ურთიერთშეფასების ინსტრუმენტებს. გასაუბრებისას გამოცხადდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ წინა ორ შეფასებაში არც რეკომენდაციები და არც რჩევები არ იყო მოცემული, პროგრამის ხელმძღვანელი აკადემიურ პერსონალთან ერთად მსჯელობს მისი მოდიფიკაციის გზებზე მოცემული სასწავლო პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

როგორც ირკვევა, პროგრამა არ იყო გაგზავნილი კოლეგიურ რეცენზირებაზე, რაც არ არის სავალდებულო, მაგრამ ამავე დროს სასურველია არსებული სტანდარტების მიხედვით. ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია პროგრამა შეფასების მიზნით გადაეგზავნოს დაწესებულების გარეთ დარგის ექსპერტებს, ან ადგილობრივ დარგის ექსპერტს ან საერთაშორისო პარტნიორს. დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს უცხოელ კოლეგებთან არსებული კავშირები და შესთავაზოს მოცემული პროგრამის კოლეგიური რეცენზირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გარე ხარისხის შეფასების მექანიზმები;
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, კოლეგიალური შეფასების მიზნით, პროგრამა გადაეგზავნოს დარგის ექსპერტებს დაწესებულების გარეთ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოცემული პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება უნივერსიტეტში არსებული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ, ამ პროცესში ჩართულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. კვლევების საფუძველზე ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება, რომლებიც განიხილება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში, შემდეგ ფაკულტეტის საბჭოზე და საჭიროების შემთხვევაში, გადაეცემა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, როგორ არის ჩართული ზემოთ აღნიშნულ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარე. გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები ძირითადად ავსებენ SurveyMonkey- ში მომზადებულ კითხვარებს. კითხვარის შინაარსი მოიცავს კონკრეტულ სასწავლო კურსებს, ასევე საუნივერსიტეტო მომსახურებას.

გასაუბრებისას დამსაქმებლებმა განაცხადეს, რომ პროგრამების ხელმძღვანელი ხშირად კონტაქტობს მათთან და ცდილობს პირადი გასაუბრების საშუალებით დაადგინოს მათი საჭიროებები. პროგრამების კურსდამთავრებულები ძირითადად დასაქმებულები არიან გამომცემლობებში, დიზაინის სტუდიებში და ა.შ.

ექსპერტთა პანელმა იკითხა, შეადარეს თუ არა პროგრამა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ანალოგს; თვითშეფასების ჯგუფის თანახმად, იმის გამო, რომ აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო პროექტებში, ისინი დროდადრო ადარებენ მოცემულ პროგრამას საერთაშორისო ანალოგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროგრამის დიზაინისა და განვითარების წესი;
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

არ არის მითითებული

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ვიზუალური კომუნიკაცია, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტანდარტი				
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
---	---	--------------------------	--------------------------	--------------------------

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
კოსტას მანტზალოს,
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ანა წერეთელი,
ელენე ასათიანი,

გიგა ხოსიტაშვილი,

ნინო ჯავახიშვილი